

# କର୍ମଚାରୀ ପାତ୍ରଙ୍କିଳୀ

## ଶାନ୍ତିମହିଳା



საქართველოს მწერალთა ეროვნული კადემია \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

10 0263260, 2014 ვ.

Nº1 (3687)

გამოცემის 78-ე ვერსია

ଓৱে ১ লাখ

CPA 2023-2024 ბურგუაზი

**ამ დაღამოკლუბ მეოცნებებს სამართლიანობის  
აღდგენის კონფერენციაზე!**

ძვირფასო თანამემამულენო!

აგერ უკვე წელინადი და რამდენიმე თვე გა-  
დის ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლი-  
დან და, როგორც სათაურშივე აღვნიშნე, ამ დე-  
დამოკლულებს სამართლიანობის აღდგენის-  
კენ ჯერაც არ გაუხსედავთ!

მხოლოდ ერთხელ დააფერთხეს მერაბიშვილს ტომარა თავზე და სადღაც ციხის მიდამოებში გაასეირნეს და გამოასეირნეს!..

სამართალს სახრე უყვარს – იგი თავიდან ბოლომდე უნდა გადაუტყობლაშუნო დამნაშავეს ჰანი; მოვლას სიარძიზი;

ჭანის მთელს სიგორე იე!..  
წინა ხელისუფლებას კიდევ – რა გამოდის  
– თუ ახალაიასა და მერაბიშვილის გარდა სხვა  
დამნაშავე არ ჰყოლია, კარგად ჰქონია საქმე,  
რადგან ერთი, ბარო ახალაია, დღე-დღეზე და-  
ტოვებს ციხეს, მერაბიშვილს კი ევროპარლა-  
მენტი გაუშვებს სახლში!..

კი, ბატონო, ამ ხელისუფლების ხელში მე ისედაც ვერ ვგრძნობ თავს კარგად და, თუ დაგჭირდით, ჩემი თავი გენაცვალოთ, საკუთარი ფეხით ჩავჯდები ციხეში, მაგრამ აქედან რა გამოვა – ერთი მერცხლის მოყვანილი გაზაფხული გინახავთ?

თუ ბიჭები ხართ, სააკაშვილი უნდა დაიჭიროთ, ბიჭებო!

თუ ბიჭები სართ, უგულავა უნდა დაიჭიროთ, ბიჭებო!..

თუ ბიჭები ხართ, გივი თარგამაძე უნდა დაიჭიროთ, ბიჭებო!..

რა? ამათ დანაშაული არ ჩაუდენიათ?!  
თუ ესენი არ გეყოთ, „ჩვენებიც“ მიამატეთ  
– ზოგ-ზოგი მსხვილი მეოცნებე ხვალ-ზეგ ხომ  
მაინც დასაჭერი გვეყოლება, ამიტომ არაფერი  
დაშავდება, თუ ახლავი ჩარსვამ!

ანდა, ძვირფასებო, ის რა იყო, ამ ჩვენს მთა-  
ვარ პროკურორს ნაცებს რომ ვტენიდით უკა-  
ნალში – ამ ხალხს ქურდი და მამაძალლი აკლ-  
და?!

სხვათა შორის, ისიც კი მაინტერესებს, როგორ შევაპარებდით?! – ისინი ხომ ამ ჯურის ავაზაკებს სუნით ცნობენ დაახლოებით კილო-მეტრ-ნახევარზე?

და, კიდევ, თქვე კარგო მეოცნებებო! თქვენი რიგებიდან ათამდე აგინტი ნაკიონალიტს

რომ ჰყავდათ გადაბირებული და ხელფასს უხ-  
თითნენ, იმ ხაოსს რას უშვრებით?

ცოტა ფულს დაუმატებთ და ისევ აქეთ გად-  
მოიძირობთ?!

ივანიშვილი ჭკვიანი კაცი იყო და ხალხის რისხევას კარგად გაასწრო! მაგრამ თქვენ ის მითხარით, ამ გულუბრყვილო ღარიბაშვილსა და მარგველაშვილს რა ეშველებათ?

არადა, ამ წვრილ-წვრილ ნაცებს რომ თავი  
დავანებოთ, ამასობაში სააკაშვილიც აპირებს  
საქართველოში დაბრუნებას!  
არ გაჭარბებ! ზევიად გამსახურდიას გროზ-

ნოდან დაბრუნება თამაშად და ცელქობად მოგვეჩენება ამ დიდი გარეწრის დაბრუნებას-თან შედარებით – ეს ბოროტი კაცი ქვას ქვაზე არ დატოვებს თავის სამშობლოში!

მაგრამ, იმიტომ კი არა, რომ ვაჟუაცია, არა-  
მედ იმ დიდი შიშის გამო, რომელიც ამ სიგრძე  
კაცს ჩრდილოვათ უკან დასდევს!..

კი, ბატონი, აქედან ერთი, მარგველაშვილი, თავად მიხედავს საკუთარ თავს – პლასტილინად იქცევა და, ისე ამოეკვრება ნებისმიერ საგანს, ეშმაკიც ვერ შენიშნავს, მაგრამ ღარიბაშვილის საცოდაობას სად მიუდიხართ?!

მით უმეტეს, რაკი ცოლის ნათესავები ნათე-  
სავებად არ მიაჩინა, ვისი კაბის კალთას შეაფა-  
რებს თავს?!

ასე რომ, არც ისე კარგად არის საქმე, ძვირ-ფისო ქართველო მეოცნებენო – თქვენ გვო-ნიათ, რომ უკვე ფონს ხართ გასული, მაგრამ, თუ ახლოდან განვჩხრეკთ, აქამდე კიდევ დიდი დროა დარჩენილი!..

მით უმეტეს, ხელისუფლებაში თქვენი მოსვლიდან წელიწადი და სამი თვეა გასული, თქვენ კიდევ სამართლიანობის აღდგენისკენ ჯერაც არ გაგიხდავთ!..

აბა, იოცნებეთ და იყავით ასე!...



# მარიანი გუზები აჯაობენ სარცელოვან ზეთს

ახლახანს საზოგადოებრივ ასპარეზზე უცრივი გამოკირითდა უერი რაინბონი, რომელმაც ომაზიანად წაიღილინა: „აქეთ გორასა წილსა ვკრავ და იქით გორასა ძერას ვუზამ, ადიდებულსა დიდ ტეკვარსა დავაყენებ და ყლაპს ვუზამ”. ამ ბაქია კაცის ხრიალი მომესმა, როცა ნაციისთხე ერთობ პრეტეზიული წერილი, ახლახანს რომ გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თოს ნომერში (№№ 218-221). საერთოდ, დამრიცებულური, დიდაქტიკური და თავისებური ტონით ნერა ახალგაზრდა ყანაცილებს სჩეკვებით. არადა, როგორც თავად გვაუყებს, 56 ნელი უკან მოუტოვებია, თუმცადა ცოდნით დიდად დაუჯებულად ვერ გამოიყენება. ის სივი კი, მას ძლიერთ ამა ქვეყნის უყრადღების მისაქცევად რომ გამოუქვეყნებია, მხოლოდ ერთ რამე ზე მეტყველებს: ის არის ჯურულურა მთავრობათა „ბოთლს მოსარგებისაცობი“ - კარიერისტი, რომელიც ცდილობს როგორმე აბობლდეს კარიერის ხეზე. ყოველ შემთხვევაში, ამას გვაფიქრელი აქტივისტი, ქალაქის ვიცე-მერი, მერის მოადგილეობა, მრავალი კომპანიისაცობა. ხოლო, რაც შეეხება მის ძირით ავტორი ყოფილა 80-ზე მეტი რეალიზტების ბულია მრავალ ქვეყანაში (საქართველოს რო, ბულგარეთი, ლიტვა, თურქენეთი, კუვათისანტირაქებობაზე). წინააღმდეგ შემთხვევაზე კართველ პროფესიონალის მიერ არ ვცადე გამეგო, ვინ იყო გიორგი მოდე ამ გვარ-სახელის არქიტექტორს არ ვიცოდე აზე, რადგან ამ სფეროში შისი ნაცოდვილ თვალიც არ მოგვიყრავს.



© 2019 ԱՐԵՎԱՐԴԻ

მაშინ რა გამოცხადება, რა შთაგონება ეახლა მას, შეუასაკა გადაცილებულს, რომ ხელი მიჰყო ქადაგებას და ჩვენს შეგონებებს, რაც ერთობ ძნელი საქმეა იღია მართლის სამშობლოში. თუმცადა, ამ ბოლო ხასს, ვისაც არ ეზარება და არც ძალი და ნიჭი შესწევს, ამ „ხელობით“ არის დაკავებული: ნერენ და ნერენ, მაგრამ ნერის მაინც ვერ სწავლობენ. ასე რომ, ამ ჩვენს „უთავო რაინდასაც“ სრული უფლება ჰქონდა თავისი ნააზრევი გადმოეფრქვია და ექადაგა, მით უმეტეს, როცა მისი მიზანი გახლავთ, რომ გორც ნერილის სათაურიდანაც ირკვევა, ქართველებს შეგვასენოს, რომ „ადამიანი იწყება ღრმულებიდან“, ხოლო სურვილი - „ლირსება აყროლებს“ ღირსება დაგეიბრუნოს ახლა ვნახოთ, როგორ ახერხებს ამ საშუალებას.

## ზოგი რამ ლირსების და ეროვნების შესახებ

მორალისტი თავის „ეთიკურ ტრაქტუს“ წაუმდგვარებს ფილოსოფოს მ. მამარ-დაშვილის პოსტულატს: „ადამიანი იწყება ლირსებიდან და მას მხოლოდ საკუთარი ლირსების გავლით შეუძლია ჭეშმარიტად გააცნობიეროს თავი ამა თუ იმ ერის შვილად! ქართველობა არ არის ბიოლოგიური მოცემულობა, ეს არის ნება, იყო ქართველი. ნება კი რანდფული ლირსების ფენომენა და მე თუ არ მაქვს ის, რამდენიც ინებოს ერმა თუ ბერმა, მე ვერც კაცი ვიქენები და ვერც ქართველი.“ ეს ამინარიდი იმიტომ მოვიხმე, რომ ლამაზი, ამაღლებული სიტყვების მიღმა ეროვნების ცნების შესახებ გლობალისტურ-ნეოლიბერალისტური აზრია განაფენილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, აზროვნებით არის გამორჩეული. იმავდროულად ის ზნეოპრივი არსებაა და ესთეტიკური განცდით არის დაჯილდოებული. სწორედ ამ სამი ნიშან-თვისებით ის განსხვავდება ცხოველთაგან. ლირსება მორალური კატეგორიაა, მაგრამ არა ერთადერთი, რომლის „გავლითაც ადამიანს შეუძლია ჭეშმარიტად გააცნობიეროს თავი ამა თუ იმ ერის შვილად“. ლირსების განცდა მაღალი ადამიანური შეგრძენება გახლავთ, მაგრამ ის ვერ განსაზღვრავს ადამიანის ეროვნებას. ყველა ერში გხხვდება ლირსებანაგვრილი ადამიანები, მაგრამ ამის გათ ვერ წავართმევთ ეროვნებას. იმავდროულად, ლირსების გაგებაც, მსგავსად სხვა მორალური კატეგორიებისა, იცვლება დროთა მიხედვით და საზოგადოებრივ განვითარებასთან ერთად იცვლება მისი შინაარსიც და აღქმის კუთხეც. ასე, მაგალითად, საბასეული გაგებით, ლირსება - ფასის „დადებაა“, „მართებულის გაგებაა“, ილი-

ას გაგებით კი ადამიანური, მორალური სრულყოფილება. ერთი სიტყვით, სავსე-ბით სხვაგვარად ესმოდა ის ქრისტიანულ სამყაროს, სხვაგვარად - წარმართებს და სხვაგვარად - რაინდულ საზოგადოებას.

გარდა ამისა, რაც მთავრობა, მამარ-

გაირდა აისა, ოც მთავონა, ძაბაო-  
დაშვილის აზრის, ქართველობა არ არის  
ბიოლოგიური მოცემულობა, ის არის წე-  
ბა, რომელიც რაინდული ღირსების ფე-  
ნომენია და თუ ის არ გაქვს, ერმაც და  
ბერმაც რამდენიც უნდა იჩებოს, ვერც  
კაცი გახდება და ვერც ქართველი. ამჯე-  
რადაც სოფისტურ ლოგიკასთან გვაქვს  
საქმე. მართალია, ქართველობა არ არის  
ბიოლოგიური მოცემულობა, მაგრამ ამ  
ცნებას დიდად განსაზღვრავს გენეტიკა,  
გნებავთ ჯიში, ჩვენი სისხლი, მემკვიდრე-  
ობით რომ გადმოგვეცემა.

ცხადია, ვისაც არ სურს ამა თუ იმ ერს  
მიეკუთვნებოდეს, მისი ნებაა, იქამდე გზა  
ჰქონია. მაგრამ ადამიანს, რაც არ უნდა  
რაინდული ღირსებით, თუნდაც პარციფა-  
ლის თვისებით გაჯერებული ნება ჰქონ-  
დეს, ვერ იქმს მას ქართველად. აქვე ისიც  
უნდა დავძინოთ, რომ ნება არ გახლავთ  
„ოდენ რაინდული ღირსების ფენომენი“.  
მეტიც, ნება ღვთით მინიჭებული ადამია-  
ნური თვისებაა, რომელიც წარმოჩნდე-  
ბა როგორც კეთილის, ასევე ბოროტის  
ასპექტში და თუ საბას მოგვიშველიერთ,  
სამად განიყოფება: ხორციელებრივი, სა-  
შუალო და სულიერი, უმაღლესი ღვთიური  
სრულყოფილებისკენ რომ არის მიდრევი-  
თა სულიერი ნება აორორი ამაობაზოლი

ლი. სულიერი ხედა უფროორ აძალღებული ადამიანის ღირსებაა, ვიდრე რაინდული. მორნმუნე სა როგორდოებისათვის ეს ა აღ-არებული ჭეშმარიტებაა, რაც მამარდაშ-ვილსაც კარგად მოეხსენებოდ, მავრამ, როგორც უკვე ითქვა, ის შეგნებულად აუფასურებს ეროვნულ ფუძემდებლურ ნიშანსვეტებს და მათ ადამის ნებასთან

### (გ. მოდერაცის თერილის პასუხად)

აიგივებს. ეს კი გლობალისტურ-კოსმოპოლიტური იდეის აღიარებაა, რომლის მიხედვითაც საცხებით უგულებელყოფილია ეროვნულობა, რაც ძირითადად მანც უთხის წარმომავლობას და გენეტიკას ეფუძნება. შესაბამისად, ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი შეიძლება ქართველი ეროვნების მატარებლად გამოცხადდეს. რაც სხვა არაფერია, თუ არა მოქალაქეობის გაიგივება ეროვნულობასთან, რომელიც ესადაგება ახალი მსოფლიოს არქიტექტორობა მოდელს, ყოველგვარ ეროვნულობის ფესვებს ძირში ვერ რომ ანადგურებს. ასე რომ, პლანეტაზე რული იმპერიის შექმნის მიზანს თუ რამე ხელს უშლის, ეს არის ერთ და ეროვნულობა, ამიტომაც ახალი მსოფლიოს არქიტექტორებმა უპირველესად მას შეუტიეს და სნაიდიათ მისი ამოშლა ადამიანის ცნობის ბიერებიდან. ახლა ვერაფერს გეტუვით სურს თუ არა ჩვენს ჭყალის დამრიგებელს ქართველად მიიჩნიოს თავი. თუ მის გაულისებას სამშობლოს გამო გაიხისენებთ იგი ვერბალურად ქართველი გახლავთ მაგრამ ზემორეხსენებული წერილიდან იმდენი ზიზღი და სიძულვილი იღვრება ზოგადად ქართველებისა და ეროვნულობისადამი, რომ მომკალით, და მისი ვერც სულით და ხორცით ქართველობას ვერც მის რაინდობას და ვერც ზნეობრივ მოძღვრობას ვიწინებ.

„ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და  
ხან ასეო“

მიმდევრებს უუსაყვედუროთ არაეროვ-ნული, მეტიც, ანტიეროვნული პოზიციის და დასავლეთის ქვეყნებისადმი ბრძად თაყვანისცემის გამომდა არა იმიტომ, რომ ისინი დაბალი აზროვნების, ვიწრო მსოფლმხედველობის, განსჯისა და ანალიზის უნარს იყვნენ მოკლებული. მეორეც, რაც მთავარია, საქართველოს დღევანდელი სავალალო მდგომარეობაც მთლიანად განაპირობა იმ მასონურ-გლობალისტურმა მიზანმიმართულმა პოლიტიკამ, რომელსაც განუზრახავს მართლმადიდებლური ერების განადგურება და არა იმ „90-იან წლების“ კერპებმა, რომელმაც სწორედ ქართველი ერის ვინაობის გადარჩენას თავი შესწორეს, და მესამეც, ჟვანისასეული თეზის შესახებ თავის დროზე დიდი კამათი გაიმართა და პრესაშიც ვრცლად წარმოჩინდა, მაგრამ რაღაც არ მახსოვს, იმ ხანად მას კრიტი დაექრას და ახლა რატომ დიდგულობს და ისე მოაქვს თავი, თითქოს ის იყოს ამ ბრძოლის დამწყები და დამგვირგვინებელი?! ეს ყოველივე მეტყველებს მის სიმზდალესა, სულნამცეცობასა და ქვებუდანობაზე. მაგრამ ყოველთვის ავყობასა და კადნიერებას არ იჩენს და, არც თუ იშვაითად, ერთობ თავაზიანადაც გამოიყურება. საგულისხმოა, რომ, როგორც წესი, ეს ხდება მაშინ, როცა ის მდიდარ, მილიონერ ადამიანებზე უბნობს. ამგვარი მორიდებით, ვიტყოდი, აღფრთოვანებითაც იგი გვესაუბრება ლევან ვასაძეზე, რომლის „უზადო ქმნილების“ – „ერისა და სახელმწიფოს“ დიდი ინტერესით წაკითხვის შემდეგ აღარ აპირებს „საქართველო მომავალი გზის არჩევასა და განსაზღვრაზე მსჯელობასა და ანალიზს“.

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ არ ვიცნობ ლევან ვასაძის ცხოვრების გზას და არც მისი უზადო ნაშრომი წამიკითხავს. აქვე იმასაც დავძენ, რომ მის შესახებ კარგის გარდა არაფერი გამიგია. ამასწინათ მის გამოსვლას ვუსმინე და დავრწმუნდი, რომ მისი პირით ჭეშმარიტი ქართველი საუბრობდა. ასევე მსმენია, რომ მან დაბა კიკეთში ძირიადლირებული სასწავლებელი დააფუძნა, სადაც მართლმადიდებლობის რწმენითა და ქართული ტრადიციებით განათლების მაღალ დონეს მომავალი თაობა ეზიარება, რაც ერთობ საშურია. ასე რომ, მოდებაძის ამგვარი დამოკიდებულება მისადმი არ მიკვირს, მაგრამ ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ „მეტისმეტი – თავში რეტიო“ და კიდევ: „მეტისმეტი პირი ხარს უკუღმა წაიყვანოს“. ვგონებ, ბატონი ლევანი იმგვარი ხასიათის არ არის, რომ ამ დონის ადამიანის აღმატებულმა ქებამ უკუღმა წაიყვანოს და ამ მხრივ სანერვიულო არაფერი გვაქვს, მაგრამ მაინტერესებს, რატომ იქმს ამას ჭარბაგი, მაგრამ ახლად დამწყები უურნალისტი, რომელიც ვასაძის წერილ ახასიათებს როგორც „უკანასკნელი ოცდასამი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნისთვის მეტად აქტიულური... სასიცოცხლო მნიშვნელოვანების მატარებელი... საქართველოს მომავლის განსაზღვრისათვის იმდენად სიღრმისეული, საოცრად დასაბუთებული და ბრძნეული განსჯა-ანალიზს“ შემცველი ნაშრომი, რომლის მსგავსსაც ჩვენი „სალიერეთელი რაინდი“ ვერ იხსენებს. თუმცა ის რომ ვერ იხსენებს გასაოცარი არ გახლავთ, რადგანაც ეს მის უწიგნურობას მოწმობს და არა ზემოხსენებული სტატიის მაღალ დონეს.

მაგრამ ჩვენი განმანათლებელი ისე კადნიერდება, რომ „საქართველოს მთელ მოსახლეობას მოუწოდებს“ ეს წერილი ყურადღებით წაიკითხოს, რამეთუ ის ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ოჯახების, შეიღებისა და შვილიშვილებისათვის ბედნიერი მომავლისცენტრი მიმავალი საუკეთესო გზის მაჩვენებელია. ამთაც არ კმიყოფლდება და საქართველოს „გადარჩენისათ-

▶ զուս տաշցագագլաւլով մեծրմռուն” լրցան զասացէս սմբռհիլլըսագ տեղովն յս նամրոմի „երո դա սաելլմնիօյուն” լրառ-քը նոցնագ գամռնչըս դա սայարտացըլռոմի մշեռութը պաշտամ ոջածն տայ սամթոնձլռուն գագածացենուն պաշտամ յարտացըլս, յազընուս պաշտամ նամրոմացցնելս մանունցուս, րողմ մատ ուս սամացուս նոցնագ գանձագոն, րագ- գան յս ներունու սայարտացըլուս դա յարտաց- լու խալնիս գագարինուս յըրտացւրուտ ցնուս գայուղուցագ մահինուա. ծանցերուզուա, ամուս գամռ մաս զըր զայսապաշտամութըտ. րոցուրու ու լիպաց- ան, կացու դա ցանցեաօ, մացրամ ցանցե, ոմ կըցպանամու, սագաց ուն. ժայէցագուս ծանցու- ուսկութուրու ներունցօն, գանձայուտրյենուտ յու, „մոնաւրու մոմռոնցուցա” դանցրուա, սագաց մոխայու ներուտունուս „երո դա յալունօնօնա” ցամոյէցպանց, սագաց նշուագ ցամսասելուրունուս „սայարտացըլուս սյուլուրու մոխայ” դա կունց մրացալու սապարունցունցօն ցունճամինթլուրու մրոնմեծն դասեցամու, մցոնու ցուրտա յայեր- սայունա լուցան զասացն ներունուս ամ ճոնցն յե ճամրուինա. իյում լրմար ճնմենու, ամուս մոնց- նու Շեյօնլեցն ոյսու Շեմգցցու: ց. մոռցէծացէ յայերունաց զեր ունոնքն ամ սացտանու Շեյսա- սեծ արսէցիւլ լուցուրակլուրաս, մացրամ յայ- րու սագուրութէցնուս ծագուն լուցան, մշամինու, րո- ցորու մայենարու դա յըրտացուլու ար Շենու.

შემდეგ წერილის ავტორი ვრცელ ექსკურსს აკეთებს ეკონომიკის სფეროში და ციფრულის მოხმობით სურს ჩვენზე მოახდინოს შთაბეჭდილება. მას სწავლია თვალი აგვიხილოს და დაგვანახოს, რომ კომუნისტების უამს, კერძოდ, ჯუმბერ პატაშვილის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდიგნობის პერიოდში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება უფრო მაღალ დონეზე იყო, ვიდრე მომდევნო, და განსაკუთრებით კი ამ ბოლო, საკაშვილის „მეფობის“ უამს, რომელიც გნებავთ ფიზიკური, გნებავთ მატერიალური და, გნებავთ სულიერ-მორალური თვალთახედვით, მართლაც რომ, თავზარდამცემი იყო. კიდევ უფრო აღმამფოთებელია ის ეპითეტები (დემოკრატიის შუქურა, თავისუფლების სიმბოლო, მეცნიერი, ადამიანთა დამცველი ისტორიკოსი, სიტყვის კაცი, ქვეყნის ამყვავებელი და მისთ.), რომლითაც ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები ამკობდნენ მას. ეს სავსებით ნათლად ასახვს იმ გასაოცარ სიყალებს, რაც ე.ნ. დემოკრატიულ ქვეყნებში ბატონობას. ამიტომაც ამ „ვაი შეფასებებისადმი მიმართული“ წერილის ავტორის ირონია და მათი შეფასება სავსებით მისაღებია და მოსახლი. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მისეულ სააკაშვილის შეფასებას: ზნედაცემული, მშიშარა, უბადრუკი, ქურდბაცაცა, მსუნაგი ვირთხა, ჩვენი შვილების უკანასკნელი პერანგის გამხდელი და პირიდან ლუქ-მის ამომცლელი და სხვა. მეტიც, სააკაშვილის პორტრეტი შეიძლება უფრორე მკვეთრი შტრიხებითაც შევავსოთ: უსამართლო, სისხლს დაწყურებული დესპოტი, რომელიც ქუჩებში უსამართლოდ ახოცინებდა ახალგაზრდებს, უამრავ პატიოსან ადამიანს (ციხეში გამოკეტავდა და მერე ცოცხით აუპატიურებდა და ა.შ. მოკლედ, მიშიერს სრულ დახასიათებას რამდენიმე გაზეთის გვერდი დასჭირდება. ამიტომაც, რაც გვაუწყა გ. მოდება-ძემ, ვიკამართ და ამის თაობაზე ის საყვედურს არ იმსახურებს. მაგრამ ერთამ არ მასვენებს და მორიდებით უნდა ვკითხო „სალიეთელ რაინდს“: სად იყო მაშინ, როცა სააკაშვილი ბობოქრობდა და ქართველებს სულს ხდიდა?! სად იყო მაშინ, როცა აფრასიძეების ოჯახი მისი ბრძანებით ამონცვიტეს? სად იყო მაშინ, როცა საჯიშე ქართველ ყმანვილებს გაუსამართლებლად ქუჩაში ხოცავდნენ?! სად იყო მაშინ, როცა ხელისუფლების ელიტა ძარცვავდა ქვეყანას და ელიტა-რულმა კორუფციამ წარმოუდგნელ მასშტაბებს მიაღწია... – ეს კითხვა დაუსრულებლად მეორდება, მაგრამ უფრო გასაოცარი ის არის, რომ ამ ფაქტთა შეჯამებისას ის ამ კითხვას თავადვე ნიშნის მოგებით უსვამს საზოგადოებას, მრავალწამებულს და ბრძოლაში დაღლილს, თუმცა ამაზე ქვემორე მოგახსენებთ.

## მეტისმეტად ნუ იპოროტებ

ეს ყოველიცვე, რაც აქაშდე ითქვა, ძე სავალია, ამის მერე იწყება „სალიეთელ-რაინდის“ გონების გამონათხბა, რომელიც ყველა ნორმალურ ქართველს ბნელეთის მოციქულის კბილების კრაჭუნა აგონებს. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს მოგასხენებთ, რომ ეს ჩვენი „დაუნჯებული“ მოაზროვნე 1989 წლის 9 აპრილს მიიჩნევს. „ყველაზე შავ და უბედურ დღე თანამედროვე საქართველოს ისტორიაში, როცა რუსი ჯარისკაცების მიერ განხორციელებულ ოპერაციას მსხვერპლად უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეენირა“. ამას ჩვენი მანასე მოაყოლებს მისთვის ჩვეულ კადნი ერ და, ვიტყოდი, ტუტუცურ კომენტარს „საქართველოს მოსახლეობის ნაწილი არ დღეს ეროვნული გამოლევიძების დღე მიიჩნევს და ზეიმობს კიდევ. ზოგი იდიოტი გვარწუნებს, რომ ამ დღეს საბჭოთა კავშირის რღვევას ჩაეყარა საფუძველი მსაგვასი შეფასებები საღად მოაზროვნე ადამიანებში, რბილად რომ ვთქვათ, სიმრის და სინაულის ლიმილს იწვევს“. და შემდგომ აგრძელებს: „ეს დღე იმავდროულად გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე შავ დღე საქართველოში, რადგანაც ამ დღი დან ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლოზუნგებით გაუბედურებული ადამიანების ცრემლებზე უსინდისო სპეცულაციით დაინტყო ქართული თვითშეგნების არა აღმასვლა... არამედ ქართული გონიერების, ქართული სულის, ლირსების და ეროვნული თვითშეგნების დაღმას ასე დაეგრძადაცა, რაც შემდგომში „ეროვნულ დამანგრეველ“ მოძრაობაში გადაიზარდდა, სამწუხაოდ, დღემდე გრძელდება“.

როგორ არ ვცდილობ აკადემიურობას არ დავყარგო და უბირთა ლაყბობის დონეზე არ დავვშვა, მაგრამ ვერ ვახერხებ და ყელზე ჰალსტუ გამონასკვნულ ქაჯუნიას შესაბამისი სიტყვებით უნდა ვუპასუხო. მართალია, ნებისმიერი საღად მოაზროვნე ქართველისთვის ადამიანის სიკვდილი დიდი ტრაგედია და სანუხარია. მაგრამ ვინც ზერელედ იცნობს საქართველოს ისტორიას, მისთვის ცხადია რომ ქართველმა ერმა თავის თვითმყოფადობა და ვინაობა სწორედ სიცოცხლი განირვის ფასად მოიტანა დღემდე. სამწუხაოდ, თავისუფლებისათვის ბრძოლი იდეა დაღვრილი სისხლითაც იკვებება შორს რომ არ წავიდეთ, თუ ჩვენს ისტორიკოსს ვერწმუნებით, ასე მონამის მონამეობრივი სიკვდილი, კრანისელთა და სამას არაგველთა თავდადება უბედურება და შავი დღე ყოფილა ჩვენთვის. ნუთუ ეს ჭყუისკოლოფა ვერ ხვდება, რომ ლირსეულ მამულიშვილთა წმინდა სულს დამა ჭირისუფლებს ამგვარი ტუტუცური განცხადებით შეურაცხყოფას აყენებს მერმე, თავად საღმოაზროვნეთა შორის იგულვებს თავს და ქართველი ხალხი დიდ ნაწილზე, რომელიც ამ დღეს ზეიმობს, როგორც ეროვნულ დღეს, მწარეცეციინება. ხოლო იმ ადამიანებს, ვინც მიიჩნევს, რომ ამ დღეს საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის რღვევას, იდიოტად ნათლავს. რას იზამ, გაუს ყველა გიურ ჰერნია, იდიოტად რაც არ უნდა გონებაჩილუნგი იყო და აზროვნებაშეზღუდული, იმას მაინც უნდა ხვდებოდე, რომ ამ ტრაგიულმა დღემ დამშობლოსათვის დაღვრილმა სისხლი მა უფრორე აღანთონ ქართველები საბრძოლველად და მინავლებული ეროვნულ სული უფრორე გააღვიძა და აღაზნო მერმე მწარეც სიცილს გიჯობს გაიხსენორომ 9 აპრილს დაღვრილმა სისხლმა, ბაქოში, ფერგანაში და ვილნიუში დატრიალებულმა ტრაგედიებმა როგორ შეარყიდა საბჭოთა კავშირის მკვეთრად აგებულ ციხე-სიმაგრე, როგორ ახმაურდა მთელი მსოფლიო და პროგრესულმა ძალებმა როგორ შეუტიეს საბჭოთა კავშირის ე.წ. ყბადაღებულ თავისუფლებას. ამ კონტექსტის გარეშე საბჭოთა კავშირის დაშლის მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით, სხვა რომ არაფერი ვთქვათ ისტორიის შეგნებული დამახინჯებაა. არა ნაკლებ მიუღებელია და სულნამცეცობის ლარიობის საუკეთესო ნიმუშია იმის გან

დაიშლებოდა და მის ნინააღმდევ ბრძოლა ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული ახლა მე ვეკითხები სალიეთელ რაინდს რა გვექნა, შენსავით სოროში შევმძვრა ლიყავით და იქიდან გვემზირა, როგორ გვენგრეოდა თავისუფლების ქონგურ თავზე და როგორ ინრიტებოდა ეროვნული ცნობიერება?! ის, რაც შენ ჩქმეტებადა მიგაჩნია, ჩემო მანასე, ეს სხვა არაფერია თუ არა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გაღებულ წმინდა სისხლის აპუჩად აგდება!.. ისე ჩქმეტაზე გამახსენდა, და ხანდახან საკუთარ საჯდომს რომ უჩქმიტო, შეიძლება ოდნავ მაინც გონზე მოხვიდე. მაგრამ შეაყარე კედელს (ცერცვი); არაფერი გამოივარა დაფანაც გ. მოდებაქს უფრო ქვებულა ნური აზრი ამოძრავებს, სურს საერთოდ ლაფი გადასხას ეროვნულ მოძრაობას და მას „ეროვნულ-დამანგრეველ“ მოძრაობად ნათლაც და მიანერს სულის, ლირსების, გონების და ეროვნული თვითშეგნების დეგრადაციას. რა ვენა ახლა, როგორ ავუხსნა, რა არის ქართული გონიერება იარსებას, რომელსაც გონიერების ნატამა ლიც არ მოეპოვება; როგორ გავაგონო, რარის ქართული სული მას, რომელიც სულიერებისგან სრულიად დაცლილია, როგორ განვუმარტო, რა არის ლირსება კაცული რომლის სხეული და ტანი ულირსობა დაუხრავს; როგორ გავაგებინო, რა არის ეროვნული თვითშეგნება იმ „ქართველს“, რომელიც ერთობ შორს არის ეროვნულობისგან და თვითშეგნების ცნებაზე ნარმოდგენაც არ აქვს. რომც მოვახერხო და ავუხსნა, ვერაფერს მიხვდება, რადგანაც მას სწადია (ალბათ მავანთა კარნახით) მინასთან გაასწოროს ის მოძრაობა, რომლი დამსახურებასაც, ვისაც ოდნავ მაინც მოეპოვება სინდის-ნამუსი და მოსდევს ჯანმას სალი აზრი, ვერ დაამტრობს, მაგრამ ერჩევნი მანასე „უცილობლობს ვითარც ჯორი“ და იმეორებს „რა საჭირო იყო ფანა ტიკური ალტყინებისგან გონდაკარგულ თავების ჯახაჯუში და ლია კარის მტკვრევა, რომელმაც საბჭოთა კავშირი იურიდიული დაშლის მომენტისათვის, ფიზიკურად და მორალურად დანგრეული, ეკონომიკურად დაცულებული და გაჩანაგებული პოლიტიკურად უსუსური და დაბერივებული, სახელმწიფოებრიობა-დაკარგული განეწილი და გახლებილი“ ქვეყანა დაგვიტოვა. ქართველს, რომელსაც ეროვნულ მოძრაობა ფანანტიკური ალტყინებით გონიერების დაკარგული თავების ჯახაჯუშს აგონებს არ უნდა გაუყადრო თავი და მოძრაობის ისტორიის მნიშვნელობაზე არ უნდა ესაუბრო. ამიტომაც მისი ეს როყიოდ ნაუბარი მხოლოდ იმას მაფიქერებინებს, რომ ამართლაც როყიოს, ბავშვობაში ისე მაგრა რად უჯახაუნებია თავი სიპ ქაზე, რომ ვერ გარკვეულა: ვინ დააქუცმაცა, ვინ დააქციო ეკონომიკურად, ვინ გახლიჩა და დაუკარგა სახელმწიფოებრიობა ჩვენს ქვეყანას. იქნება ყოველივე ეს გაგებულიც აქვს, მაგრამ გარკვეული დალების სამებბლად, იქმას, ანდა საიდუმლო დანესებულებების დაგალებას ასრულებს და თავის ალორ გიური განსჯით, აბსურდის ფილოსოფიურ სისტემას რომ მიესადგება, სურა ეს უბედურება ჩვენი ეპოქის ლირსეულ ადამიანის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელს დაუკავშიროს. მეტიც სიძულვილით შეპყრობილი, ცირკის ფერდობზე მდგომი ხელმოცარული ქალივით კაცს რომ არ ეკადრება, ისე ლანდღავს თანაც ამ ლანდღას თავის მოქალაქეობის პოზიციას ნაუმდღვარებს და გვახსენებს, რომ „ენის სტატუსის დაცვისათვის სტუდენტური მოძრაობის ავანგარდში ზიდება“ შესაძლებელია ამ დემონსტრაციაში, რომელშიც ათი ათასობით სტუდენტ მონაწილეობდა, ისიც გაერია, „კუმ ფეხ გამოჰყო – მეც ნახირ-ნახირა“. მაგრა მერე რა გზას დაადგა ეს „ავანგარდელი“ – გაუჩინარდა თუ ხელში იარაღია აილო აი ეს არის გასარკვევი! და გაირკვა კიდეც მარაში


ახლა სჯობს მის ლანდღვა-გზება  
მივადევნოთ თვალი: „მე არ მესმის, რი  
და ვის გამო უნდა თქვას უარი საკუთარ  
აზრისა და ლირსების მატარებელმა ადა  
მიანძა ამა თუ იმ მოვლენების ლიკექციურ  
შესახებ ასწერ რის? აქ ის არ არ არ არ

ემოციურ ტალღას, საკუთარ მრნამსზე და შავი თეთრად გაასაღოს... მე არ მესმის, რა ნიშნით, რა კრიტერიუმებით შეიძლება ეწოდოს ეროვნულ-განამათავისუფლებელი იმ მოძრაობას, რომელმაც შედეგად სახელმწიფოებრიობის ნგრევა და ხალხის გაუბედურება მოიტანა". რა შეიძლება ითქვას ამ პოზიციის თაობაზე! მართლაც და „საკუთარი აზრის და ღირსების ადამიანს არ უების მოვლენების ობიექტურ შეფასებასა და არც საკუთარ მრნამსზე უარი თქვას – მაგრამ, სამწუხაროდ, სალიტერ მორალისტს თავზე ერთობ დიდი წარმოდგენა ჰქონია, როცა თავს საკუთარი აზრის და ღირსების მატარებლად" რაცეს, რადგანაც არც ღირსება გააჩნია (სხვა რომ არაფერი ვთქვათ წაქცეულ ადამიანებს, მიცვლილ გმირებს და არსებული ბოროტი რეჟიმის ნინაალმდევ მებრძოლ ქალბატონს არ გალანძლავდა და უსაზღვრო ხოტბას არ აღალენდა მილიონერ თუ მილიარდერ ადამიანებზე) და არც საღი აზრის პატრონი ბრძანდება, რამეთუ სურს შავი თეთრად წარმოგვიდგინოს და პირუკუ: თეთრი შავად, რასაც მართალია შეზღუდული გონების გამო ვერ ახერხებს, მაგრამ შხამს აფრიკევს და გარემოს აპინძურებს: ყველაფერს კადრულობს და ისტორიას აყალბებს. მას არ ესმის, რა არის ეროვნული მოძრაობის არსი. ეს კიდევ იმის ბრალია, რომ რომ ღმერთი კაცს კვახჭირის გაგრასავით დიდ თავს რომ არგუნებს, შიგთავსს ტვინით კი არ ავსებს, არამედ ნახერხით ტენის ხოლმე. ასე რომ, ჩემო მანასე, „რასაც ვერ შეწვდები, ნუ შეეწოდებიო“ – ხომ გაგიგია და ისიც გაიხსენე – „რაც არ გერგება, არ შეგერგებაო“. ამას იმიტომ გასხვება, რომ ცოტა გონზე მოხვიდე და იმაზე ილაყბო, რისი უნარიც შესწევს შენს მნირ გონებას. რატომძაც ამ უბირმა კაცუნამ მე ამომირჩია მოპასუხედ და მოხვავა დამესახელებინა თუნდაც ერთი დადებითი შედეგი, „იმ ავანტიურისა, რომელმაც 1989 წლის 9 აპრილს ხალხის ჭეშმარიტ უბედურებაზე (!!!) სპეცულაციით დაიწყო, 1991 წლის აპრილში გამსახურდისას მიერ პრეზიდენტობის თვითგამოცხადებით გაგრძელდა (იგი პრეზიდენტად 1991 წლის 26 მაისს აირჩიეს და 1993 წლის 31 დეკემბერს ტრაგიკულად დასრულდა)“.

ახლა კი ყურადღებით მისმინებ შე რო-  
ყიო არსებავ: ადამიანი, უფრო სწორედ,  
არსება, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს  
ავანტიურად აცხადებს, თავად არის ავან-  
ტიურისტი და სუკის ნაცადი აგენტი, რომე-  
ლიც სუკში შემუშავებულ პროცესაციულ  
შეფასებას იმეორებს. მეორეც, 9 აპრილის  
აქციაზე ზევად გამასახურდიას არ დაუწყია,  
ის დაიწყო ჭავჭავაძის საზოგადოებამ, და  
კერძოდ, ლირსეულმა ქართველმა ზურაბ  
ჭავჭავაძემ. მოგვიანებით ყველა ეროვნუ-  
ლი ლიდერის მსგავსად ჩაერთო ზევად გამ-  
სახურდია; მესამეც, ზევად გამსახურდიას  
თავად თავი არც როდის გამოიცხადებია  
პრეზიდენტად, იგი ერთხმად იქნა არჩეუ-  
ლი უზინაესი საპროს თავმჯდომარედ და  
მხოლოდ მოგვიანებით სრულიად საქარ-  
თველოს მოსახლეობამ ხმათა 87 პროცენ-  
ტით ის აირჩია საქართველოს პირველ,  
კარგად შეისმინე, პირველ პრეზიდენტად.  
ხოლო დასასრულს შენმა მსგავმა ნაძი-  
რალებმა, რომლებიც მსოფლიოს მასო-  
ნურ-გლობალისტური არქიტექტორების  
კარნახით მოქმედებენ, მუხანათურად გან-  
გმირეს. და, რაც მთავარია, ზევად გამსა-  
ხურდიას ქართველი ერის ნინაშე უდიდე-  
სი, დიახ, უდიდესი დამსახურება ის არის,  
რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე  
რეფერენცუმი ჩაატარა და სრულიად სა-  
ქართველოს მოსახლეობამ: ქართველებმა,  
აფხაზებმა, ოსებმა, აზერბაიჯანელებმა,  
სომებმა, რუსებმა, ქურთებმა და მისთ.  
მხარი დაუჭირეს საქართველოს დამოუკი-  
დებლობას და რეფერენცუმის საფუძველ-  
ზე ზევადმა გამოაცხადა ჩვენი ქვეყნის და-  
მოუკიდებლობა. ვისაც არ ესმის ამ აქტის  
მნიშვნელობა, რომელიც იმ ხანად მოწმენ-  
თოთ აზია მექინისა და ავარონის ჰაერო-

► **მუსიკურის გადაცემი**

## კობა იაკობ აბა არაბული



ჩვენი წერილის ყოველი მომდევნო კარით შევალთ ფხვის საქარალური დროის ახალ მონაცემში, დროთა და მოვლენათა უცნობ განზომილებაში, რომელიც ამ სრულიად შესუნავლელი თემის ჩაეტილ სივრცეში იდგა...

ანდრეზული ცოდნის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, „აქ ენერიის თვეში გაიხსნა ნოეს კიდობანი: ყოველი სულიერნი მინაზე გადმოსხდენ და, მათ შორის, „ნოეს კიდობნის გველი“, რომელიც შუბანის ჯვარში (სალოცავში) შეიყიდა და იქ მურნალი ტყავი დატვირა!... ლიქიკის თემში და, ზოგადად, ხეგსურეთში დღემდე შემორჩა გველის კულტი და მურნალთა ინსტიტუტი (გველით მურნალის ცოდნა!).

აქ უცნობ დროში საჩალეს, ხადუს, გერგეტის ქუდისძას (პარატეს) მთებზე, „ხეთიშვილი“ ჩამოსხდენ და ხორციელს საომარი ხელოვნება და დიდი საიდუმლო ცოდნა მისცეს (ისევე, ვითარცა „ანუ ნაებმა“ შუმერებს!). მათ შეეძლოთ ხილულისთვის „საფარველის დადება“ (უხილავებმა), ხორციდან გაყვანება და მერე ისევ დაბრუნება თავის სხეულში! (რეინკარნაცია!).

მითის, ანუ ანდრეზული ცოდნის მიხედვით, ფხვის თემმა (საყმო) გამოვლო და დაძლია „ქაჯებთან ამების“ დღემდე უცნობი ეპოქა, გამარჯვებული გამოვიდა რასათა და ცივილიზაციათა წარლენბიდან და ხეთიშვილთა შემწეობით ფხვის საყმოში დაიმკვიდრა რწმენისა და საქარალური ბრძოლის, აგრეთვე სამურნალო ცოდნის სრულიად ახალი (და ძველი) უცნობი კულტურა. მოიტანა ლუდის კულტი, ჩარათი და ქერი, ახალი რეინის და მჭედლობის კულტი, სწორფრობის ადათი...

ეს მარე – ფხვი – იბერთა უძველესი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილია. იგი მოქცეულია კავკასიონის მწვერვალთა „სოლარულ რკალში“ და ჩვენ დრომდე დაცული და შეუვალი (გადაულახავი) იყო ხაზარული და სკვითური ურდოებისთვის: კავკასიის ამ „სოლარულმა წრებ“ და იქ მდგომა „სარანგთა“ რაზმებმა მოიგერიეს და აიცილეს ინდოევროპული რასების ექსპანსია...

ანდრეზული ცოდნა მიგვანიშნებს თუ როგორ ჩადიან აქედან მეორები „ჩაბალ-ხეთს“ და „სამჭედლოებს“ უნგრევენ დევ-ერთა მოდგომას: „მჭედლები, მემჭედურები სულ ერთურთს შემოვახალე“ („ამირანის“ მითი).

ფხიტუს მთაზე ახლაც არის ამირანისა და „ძმათა მისთა“ – „ცხენების საბმელი“ გახვერეტილი ქვებისაგები.

ძალიან ძველია კოპალა-იახსარის ბრძოლა დევებთან და ხახმატის ჯვრის ხელოსანთა და ღვთისშვილთა ომი „ქაჯავეთის“ გასატეხად. ამ გადაულახავ „ხორცუ“ სამყაროში შედიან ფხვიელი უხორცი (ანუ „გვამიდან გასული“) მეომარნი და ანგრევენ მის „ქარიზმულ-ქაჯურ“ სივრცეს!

ვინ არიან ეს „დევები“, „ჩაბალ-ხეთები“, „ქაჯავეთელნი“, რომელიც „ურის“, „ქაჯთა ქალაქის“, „ბალხის“ და „ხეთის“ – „ქვეყანაში“ (არეალში) დგანან და თავის წილ დიდ ძალას და კულტურას ფლობენ?!

თუ დავაკვირდებით წარდგნამდელ და წარლენის შემდგომ კულტურათა ცვლას და რასათა მოძრაობას, უეჭველად შევიცნობთ თუ ვინ დგას კავკასიურ-იბერიული რასის პირისაპირ და რა მოვლენების „ანათალია“ ფხოველთა (ხევსურთა) ეს უნიკალური მითები...

\*\*\*

ფხოველნი არიან „ბიბლიამდელი ბიბლიელნი და ქრისტემდელი ქრისტიანენი“ (ფრაზა ჩემია-კა.), რომლებიც საკუთარ მითებში (ანდრეზული) ინასავენ ერის დაფარულ ცოდნას და ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ქრისტემდელ და ქრისტესშემდგომ რიტუალთა გაუმიჯნაც სისტემებს, რომელთაც ისევე სჭირდება წაკითხვა, როგორც უძველეს იეროგლიფებსა და იდეოგრამებს...

ძველ ფხოველთა რიტუალები, დღეობები, ქადაგთა და ხევისძერთა ქარიზმული ტექსტები დიდი საიდუმლოს შემცველია, მაგრამ ჩვენ არ ვიცით მათი კითხვა; ჩვენ გვეკონდა სწავლისა და ცოდნები შელნევის მცდარი მეთოდიკანილი „მნათობთა ბრუნვას“...

უეჭველად დავინახავთ „საკუთარ თავს“ და მთელი ერის მეტაფიზიკურ სურათს დროში, თუ მას შევხედავთ გულისა და გონების სიცხადით და უფლისმერი სიყვარულით! დავინახავთ ჩვენ და დავანახებთ სხვასაც, თუ ჩვენს ქვეყანას გავაძრნინებთ ფესვებიდან...

ხევსურთა ანდრეზული ცოდნა გვასნავლის იმასაც, რომ „საფარველდადებული“ საიდუმლო, ანუ „ციხის კარი“ ყველა დროში და ყველას მიერ არ იხსნება, არ იხსნება „ქამის დგომამდე“ და ციდან იშნის მოცემამდე!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დრო დადგა!

გუშინ ჩვენ ვერ დავინახეთ ის, რაც „უფლის მიერ დაიფარა“, მაგრამ დადგა „ხვალე“ და უფალი ბრძანებს, რომ „ხვალები იხილოს ხვალისა!!!“ და ჩვენ, „ხვალეში“ შესულო, უნდა დავინახოთ ჩვენი „აპოკალიფის“ რეალურად და ჩვენი ისტორიის მთლიანი სურათი!

\*\*\*

თითქოს მოულოდნებია ის გარემოება, რომ ფხვის თემ-სოფლებში შემორჩენილ ქალებსა და კაცებს, ხოგაის მინდის თემის მოსახლეობა სახეზე და სამოსელზე ისევ ეტყობათ უსხოვარი დროის ანაბეჭდი, როგორც მთვარის ტაძრებიდან ჩამოცვენილ ქვებს, რომლებიც სხვა ქვითერის კედლებში აღმოჩნდნება!!!

მათ დღემდე შემორჩათ (და აცივათ) დეამინაზე უბალდო სამოსელი, დაფარული ქარიზმული ჯვრებით და მაგიურაპოტროფული ნიშნებით (გ. ჩიტაია ვ. ბარდაველიძე), მზის სოლარული „ნერებით, რაც მიუთითებს იმ შორეულ დროსა და სივრცეზე, რომელიც მათ გამოვლეს და ახლო აღმოსავლურ-შუბერულ-ბაიოლუნურ-ეგვიპტურ ცივილიზაციებთან კავშირზე... (ვ. ბარდაველიძე).

მათ ჯერ კიდევ ჰყავთ ხევისძერი და სულის სუცესი!!

უზით ქადაგი – „მედიატორი“ – ხეთის-შვილთა საიდუმლო ნიშნის ამხსნელი!

ჰყავთ რევულის კითხული კაცები, რომლებიც ბჭობენ ყოველ საბჭეს, თუმცა ესენი ჩემს თვალინი გარდენებნენ!..

ჰყავთ ბრწყინვალე დოსტაქერები – მკურნალნი... აბჯრისმჭედებული. პირქუში: კოპალა-იახსარის საჭურვლის ისტატი – თუ არ და მათი წარმოადგინა წარმომადგენა და ანგრევენ მის „ქარიზმულ-ქაჯურ“ სივრცეს!

ვინ არიან ეს „დევები“, „ჩაბალ-ხეთები“, „ქაჯავეთელნი“, რომელიც „ურის“, „ქაჯთა ქალაქის“, „ბალხის“ და „ხეთის“ – „ქვეყანაში“ (არეალში) დგანან და თავის წილ დიდ ძალას და კულტურას ფლობენ?!

ჰყავთ ქადაგი. ჯიშის ჭრელი ფურები.

ნაგაზები – „სოფლის ყურს“ რომ უწოდებენ...

და ცხენი, ანუ სოფლის მუხლი, რომელსაც „განათვალის რიტუალს“ უტარება!

ბენ ხახმატის ჯვარში, მერე იგი „სულის ცხენად“ იქცევა და სულეთში მიაცილებს „სამზეოდან“ გასულს!.. ეს იგივეა, რაც აქილევსის დოლი პატროკლეს ცხედარზე!

ქაჯავეთიდან ნაოტი ეს ხვასტაგი და ტყვე ქალები (აშე-ქალი, სუ-ქალი, სეითქალი, ხოშე-ქალი, მზე-ქალი, სამძიერო...), „ოქროს ფანდურებით“ აქ აფუძებენ უცხო სამართალს და სწორფრობის ადას (როგორც შუმერი ქალები ქალები; იხ. კრამერი).

\*\*\*

მათ იციან, რომ „რა მექნას ციხის“ საიდუმლო კარი დროში იხსნება, მას ვერ გახსნის დროზე ადრე!

მათ იციან, რომ სიტყვა იყო პირველი და სიტყვის ძალით შეიძლება „ცაზე მზემ დაიცადოს“, გაჩერდეს ერთი წამით („მზეო, დადგე და დაგვიანდო...“)

მათი კრედოა – ჯერ სიტყვა, მერე – მახვილი! ვინაიდან მათ მინიერ საუფა

ანდრეზული მეხსიერება ცოცხალ თემს განუწყვეტლად აკაგშირებდა ნარსულთან და იგი (თემი, საყმო) იღებდა „ლოგოსიდან“ შემოსულ სადუმლო ცოდნა!.. რა ეშველება კაცობრიობას, თუ ის კავშირს დაკარგავს წარსულთან? ანდა ბუნებასთან! როგო ადამინი ვერ მიხვდება, რატომ იკლავს მერცხალი თავს შატილის კოშკი ანდა ხოგაის მინდია ვერ გაიგებს გუგულის ნათვეამს: „კაცო, რას მერჩოდა: საბეკურის კარზე თვალი რომ გამომოტხარე – გაზაფხული ხომ თევენთვის მე მომყავდა?!“

აპოკალიფი დაგება მატინ, როგო ზნენი და მოვლენანი იცვლება კაცთა მოდგმისთვის, როგო ქალი კაცის საქმეს იწყებს და კაცი – ქალისას, და ადამიანებს წალმა

თემი კარგავს უფლომა ესმით!

თემი კარგავს უფლომის მიურდან მისას და ბუნებასთან კატასტროფის ზღვაზე აყენებს! ამ მოვლენებს, შესაძლოა, „პარასკევდაკარგულთა“, ანდა გაბურთ ეშმაკის სინდირმიც“ უუნო-

## &lt;h







**ესები – მთრედი...**

ესემესი – მტრედი! –  
როდის იყო, გახსოვთ?  
უგზავნიდი სატრფოს გულისმომკვლელ  
უსტარს...  
ესემესი – მტრედი! –  
ბრძანებები სარდლის  
მიღიოდა თავის ადრესატთან ზუსტად...

მართალია, ეჭვით, მართალია, ფრთხილად –  
ენდობოდნენ მაინც მტრედის ლამაზ  
ფრთხილას...

...  
მიხარია, რომ მტრედებს ჩემი არ ეშინიათ!  
არასოდეს ჩემს თვალინი მტრედი არ  
აფრენილა –  
მიხარია! – მტრედებს ჩემი არ ეშინიათ...

მოიარო მსოფლიო ღიმილით და სიკეთით –  
ეს ადამიანების უმაღლესი ჟინია! –  
არც შენ გეშინია და არც შენი ეშინიათ!

ქარი მიაფრიალებს მტრედს – პირველქმნილ  
ესემესა! –  
რიგდება ბარათები: ის – ამას და ეს – იმას...

**ცალმსრივი სიყვარულის ქება**

(ძნელად დასაჯერებელი ტექსტებიდან)

სიყვარული? ცალმხრივი? –  
ნაღდი სიყვარულია! –  
მოზარე არა გყავს –  
შენი სიყვარულია...

ცალმხრივი სიყვარული  
სიყვარულზეც მეტია! –  
რა იქნებოდა ჩემი  
სიცოცხლე და ცხოვრება –  
მე რომ ის ღამები  
ტანჯვაში არ მეთია...

იმხელაა – გიკვირს, რომ  
ერთ გულში ჩაეტია!  
ისე, ერთგულებითაც  
სხვაზე ბევრად მეტია!  
იმ ორის სიყვარულზე  
ორჯერ უფრო მეტია! –  
რა სახსენებელია  
ნესტანი და მედეა...

ბედი მისი, თუ ვინმეს  
გაუმართლა ამ მხრივაც! –  
ვისაც ცალმხრივად უყვარს,  
ან ვინც უყვართ ცალმხრივად...

\*\*\*  
კოცნა – ანტიდეპრესანტი.  
ლექსი – ანტიდეპრესანტი.  
ღვინოც – ანტიდეპრესანტი.  
ორ მოშულლარს შორის უცებ  
ჩაგდებულს რომ ნახავ მანდილს,  
ღიმილს დააკვირდი – ღიმილს –  
შემცველს ანტიდეპრესანტის...  
თერმეტი თვის შვილის შვილის  
შვილებს იმ დღეს ტანს რომ ბანდით –  
რა იყო ეს! მივჩვდი, არა? –  
ნაღდი ანტიდეპრესანტი!  
იმედისთვის გამოგონილს  
რომ მიირთმევ აგერ წანდილს –  
ნაღდა ანტიდეპრესანტი...  
ჰომეროსა, რუსთაველი,  
პო, აკაკი, კანტი, განდი... –  
ვინ არიან, როგორ ფიქრობ! –  
ყველა – ანტიდეპრესანტი...  
თვალს შეავლებ, ჩაფიქრდები  
და ურჩხულის ქრება ლანდი!

ანტიდეპრესანტზე ფიქრიც –  
თითქმის ანტიდეპრესანტი...

\*\*\*

ახლა უცებ მეც რომ მოვკვდე,  
ისე, ისე მეწყინება...  
ისე, ისე მეწყინება,  
მეტი რომ არ შეიძლება!  
მე შენ გეტყვი, ჩემი წასვლით  
მთლად ქვეყანა შეიძრება!  
მე ხომ ვიცი – ჩემი წასვლით  
არაფერი შეიცვლება!

მე რომ მოვკვდე? ახლა? უცებ? –  
ისე, ისე მეწყინება!  
მე სიკვდილის დედაც მოვ...! –  
რა ვქნა, ვიცი მეც გინება!

მე რომ მოვკვდე?  
ახლა?  
უცებ?  
ნამეტანი მეწყინება...

**(წიგნიდან: ანდერძი ტარიელისა)**

მე რომ მკერდში სტენდი მიდგას –  
უფრო რთული შენ ხარ სტენდი!  
შენთან შესახვედრად მოსვლას  
მე სიზმარშიც არ ვაცდენდი...  
ვიცი შენი საყვარელი  
ლექსიც, ფილმიც, ღვინოც, ბრენდიც...  
შეაღმე იყო, მახსოვს,  
პირველად რომ გამითენდი...

ხარ ჩემს სისხლში,  
ხარ ჩემს გულში,  
ხარ ჩემს ტვინში –  
სანდო სტენდი...

**ლექსარომატი პირიპით**

საქართველოვ, შენ ბევრი გყავს  
შვილი დასაკარგავიც და  
გასამეტებელიცა და  
მკაცრად დასასჯელიც!  
გინდა? – ძველებს ჩამოგითვლი!  
გინდა? – ახლებს გაგახსენებ!  
მე ვერ გეტყვი, მრავალთაგან  
ჯერ ვისია ჯერი!

სანამ სულმთლად მოვუსპივართ,  
სულმთლად გავუყიდვივართ და  
სანამ თავზე საბოლოოდ  
დაგვმხობია ჭერი –  
შვილია თუ შვილიშვილი –  
ყველა, ვინც შენ გილალატა –  
მოიშორე და დასაჯე  
ყველა დასასჯელი!


...  
მაპატიე! უკვე ვიცი,  
ვისიცაა ჯერი!

**ალტერ ეგო**

თავი გაითავისწინა...  
რუსთაველი  
– კაცს როცა გული ცუდად უხდება,  
გული ცუდად რომ უხდება,  
ეს გული ცუდად მას უხდება? თუ –  
მის მეორე „მეს“ უხდება!  
ეს გული ცუდად მას უხდება? თუ –  
მის ალტერ ეგოს უხდება!

ამას და იმას ერთად უკვდებათ! –  
ასეთი რამეც თუ ხდება!  
რომ აჩქროლდება,  
რომ აღელდება,  
უეცრად ათუხთუხდება –  
კაცსაც, ამ კაცის ალტერ ეგოსაც –  
გული ორივეს უკვდება? –  
ასეთი რამე თუ ხდება!..

რას ეუბნება ერთი გული და  
მეორე რას ეუბნება!

**ტარიელ ჭანტური**

რის უფლება აქვს, რა შეუძლია  
და რის არა აქვს უფლება!  
უყვარხარ იმ ქალს? თუ – არ უყვარხარ!  
ან მან რა იცის ამაზე!  
აფასებს შენს წიგნს ის ქალბატონი,  
თუ სულაც აღარ აფასებს...

რას გეუბნება ერთი გული,  
და მეორე – რას!  
ერთს – ცრემლები სდის, და მეორე  
მღერის ორერას!  
პასკეილანტს, შენ რომ ძალიან სძულხარ,  
გულის სილრმეში უყვარხარ?  
არ გაგიკვირდეს, სუყველაზე კარგ  
მნერლად სწორედ შენ თუ ყაეხარ!  
მას სულხარ, მაგრამ მის მეორე მეს,  
რა იცი, იქნებ უყვარხარ!  
... დარწმუნებული იყო – უყვარდა!  
არადა, თურმე სძულდა! –  
ვერც ერთი მისი დიდი ტკივილი  
ვერ მიიტანა გულთან...

ან  
ვიცით კი? –  
როგორ აქვთ გაყოფილი  
მწერლასა და მის ალტერ ეგოს  
ნათლობის სახელი და ფსევდონიმი!  
ან,  
ქალი რომ უყვარს აგერ ტიპს,  
მის მეორე მესაც უყვარს ის ქალბატონი?  
მერედა, ვინ გვეტყვის,  
რა გაგრძელება ექნება ამ სიყვარულს!  
პირიქითაც! –  
შენ შოულობ,  
შენი ალტერ ეგო კი აგებს!

შენა ხარ ამ დროს გაორებული  
თუ შენი ალტერ ეგო!  
შენზე თქვეს იმ დღეს? –  
შენ როგორ ფიქრობ –  
ცუდი კაცია ეგო!  
შენა ხარ ცუდი? მე კიდევ ვფიქრობ –  
სწორედ ისაა ცუდი!  
საკითხავია: ორივეს ერთი  
რატომ გახურავთ ქუდი!  
გასარკვევია: ორივეს ერთი  
სულ რად გაცვიათ პალტო!  
მოკლედ, ასეა: არსად არასდროს  
შენ არ ყოფილხარ მარტო!  
მარტომობისთვის შეგქმნა ღმერთმა და  
ვერ ქნა – ვერ გტოვებს მარტო...  
...  
მარტო ღილინებ!  
ხომ არ ჯობს – ადგეთ,  
ორივემ ერთად ჭექოთ!

...  
(ისე, რა ვიცით, იქნებ ღმერთსაც ყავს  
თავისი ალტერ ეგო....)







## ლიტოლვილ(ების)თა პლუზი

ვთქვათ, ამ ქალაქში არის ათი მილიონი სული,  
ვიღაცას ეკუთვნის სორო, ვიღაცას სასახლე სრული:  
აქ არ არის ადგილი ჩვენთვის, ჩემო საყვარელო, აქ არ არის ადგილი  
ჩვენთვის.

